ყოველდღიური მეორე ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი 4 თებერვალი 1916 წ. № 26

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი: პირველ გვერდზე ...—... კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე **საქართველო** წელიწადი მეორე

**უპრემიოდ:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

**ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76.** (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

**ლიტერატურული და სამხატვრო კრებული**

## „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

კბილის ექიმი

**ნინო რჩხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმმა

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ახალ ...... სახელმძღვანელო ამხანაგობის

„კახეთი“-ს

გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ 1916 წ. 19 თებერვალს ქ. თელავში, დილის ათ საათზე დანიშნულია

**ჩვეულებრივი წლიური**

**საზოგადო კრება**

განსახილველია საგნები:

1) 1914—15 საანგ. წლ. ანგარიში და მის შესახებ მოხსენება.
2) მიწის შეძენა ქ. თელავში და ს. გურჯაანში.
3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
4) 1915—16 საანგ. წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
5) მიმდინარე საკითხები.
6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარის, რომელსაც ვადა შეუსრულდა, გამგეობის ერთი წევრისა და ერთი კანდიდატისა, და სარევიზიო კომისიის 4 წევრისა.

ეს საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგან ინიშნება ნაცვლად ამა წლის 30 იანვრის არ შემდგარ კრებისა.
(3—1)

**სასტუმრო „ავრორა“**

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—14—13)

## თბილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს თბილისის უძრავ ქონების პატრონებს, ვისაც შეფასების გადასახადი აქვს შესატანი, რომ თანახმად ქალაქის გამგეობის 1916 წ. 25 იანვრის დადგენილებისა, რომელიც გუბერნატორმა დაამტკიცა, 1916 წლის 1 ნახევრის

**შეფასების გადასახადი წარსადგენ ვადად**

**დანიშნულია 1916 წლის 1 მაისი**
(1—46—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

1—2 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მკვირცხლი საარტილერიო სროლაა ოლაისა და დალენის კუნძულის შუა. რუსთა არტილერიის სიმარჯვეს აღნიშნავენ. დვინსკთან გერმანელები მოწამლულ ბოლიან ყუმბარებს ისვროდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსთა არტილერიით გამოსვეულ აფეთქების შემდეგ აღებულ იქმნა აზრუმის პირველი ფორტი. დევნის დროს რუსებმა მრავალი ტყვე წამოიყვანეს. დავლად 6 ზარბაზანი დარჩათ.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში გამოჩნდნენ გერმანელთა მფრინავნი. მთელს რაიონში მკვირცხლი სროლაა. დვინსკის ნაწილზე მძაფრი ბრძოლაა აფეთქებულ ადგილის ასაღებად. რუსებს დარჩათ საბოლოოდ იგი. მუდუმისტბისა და დემენეს შუა რუსებმა აიღეს ბოურიშე, რუგენშიკის სამხრეთ-დასავლეთით. პრიპიატის სამხრეთ ეზერცის რაიონში დონელმა ყაზახებმა ამოჰხოცეს მტრის მზვერავი რაზმი. ზემო სტრიპის რაიონში რუსის რაზმები არ უსვენებდნენ მტერს. მათ სროლა ასტეხეს. მთელი დღე არ შეწყვეტილა ბრძოლა. ამავე რაიონში მტრის ჰაეროპლანებმა დაიწყეს თარეში. ერთი მათგანი დააზიანეს, რომელიც მტრის ბანაკშივე დაეშვა.

**კავკასიის ასპარეზი.** საარტილერიო სროლის შემდეგ რუსებმა იერიშით აიღეს აზრუმის ციხის ორი ფორტი. დავლად ოცი ზარბაზანი წამოიღეს, ტყვეები და სამხედრო მასალა. საღამოთი კიდევ რუსებმა ზედიზედ აიღეს შვიდი ფორტი. ამნაირად, ეხლა რუსთა ხელშია ყარაგიუბექის ფორტი, ტაფტა, ჩობანდადე, დალანღეზი, უზუნ-ახმეტ-ყარაკოლ, უზუნ-აჯკეთ ანს, ქაბურგაორთაიუკი და ორჯაიუქილლიავია.

**ჰავრი,** 31 იანვარი. ალბერტ-ვილის მახლობთან დაიღუპა გერმანელთა კანონერკა „გოდვიფონ-ვისმონი“. ორი გერმანელი მოკლული იქმნა, ათი მე-...ქმნა. ბელგიისა და ინგლისის ფლოტილიას არავითარი ზარალი არ მოსვლია.

**პარიზი,** 1 თებერვალი. ლევილ-ლაფოლის გზის სამხრეთით ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი. ფრიზის სამხრეთით მტერს ნაწილი თხრილების წაავართვით. კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუვაგდეთ, 70 ტყვე წამოვიყვანეთ. ზემო ელზასში მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა წაგვართვეს თხრილები 200 მეტრის მანძილზე. კონტრიერიშის შემდეგ ზოგიერთი ნაწილი დავიბრუნეთ. ბრძოლა ამ რაიონში მძაფრ ხასიათს იღებს.

**კოპენჰაგენი,** 1 თებერვალი. დღეს დილით მეფე ფერდინანდი ვენაში მოვიდა.

**ნიუიორკი,** 1 თებერვალი. ცეცხლი მოედო სამხედრო იარაღის საწყობს „გენერალ-ელექტრიკ-კომპანის“.

**რომი,** 1 თებერვალი. მიკანს თავს დაესხნენ ავსტრიელთა ჰაეროპლანები. სროლა აუტეხეს. იტალიელთა ჰაეროპლანებმა ხელი შეუშალეს მიზნის მიღწევაში. სულ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, რითაც ქალაქს საგრძნობელი ზარალი არ მოსვლია. ავსტრიელთავე ჰაეროპლანები ეწვიენ ბრეშიას, ბერგამოს, ტრევილიეს და მონცს. აქაც ყუმბარები ჩამოჰყარეს, მაგრამ ზარალი საგრძნობელი არ მიუყენებიათ.

**ლონდონი,** 1 თებერვ. კრეისერი „არეტუზა“ წააწყდა ნაღმს ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირზე.

**მალტა,** 31 იანვარი. ინგლისელთა გემი „სპრინგველ“ ინდოეთიდან მოდიოდა. იგი დაჰლუპეს ნაღმით ისე, რომ არც-კი გაუფრთხილებიათ. ეკიპაჟი გადაარჩინეს და აქ მოიყვანეს.

**ლონდონი,** 1 თებერვალი. პირველ თებერვალს გამოცხადდა მეფის მოწოდება, რითაც იგი იწვევს ყველა საქორწილო ინგლისელს დროშის ქვეშ.

**ნიუ-იორკი,** 1 თებერვალი. ამას წინად შეპყრობილი გერმანელთა ორი გემი „ზარფელდი“ და „ტიურპინი“ გაქცეულან სამხრეთ-ამერიკის ნავთსადგურებიდან. ამბობენ, გერმანეთიდან ასეთ დაჭერილ გემებს ბრძანება მოუვიდათ პირველ შემთხვევისთანავე გაიქეცითო.

**რომი,** 29 იანვარი. დღისით ქალაქის თავთან მიწვეულ იქმნა ბრიანი, ლეონ ბურჟუა და ტომი. მიწვეულ იქმნენ აგრეთვე ყველა დიპლომატიური პირები. ბრიანმა მტკიცე რწმენა გამოსთქვა, ჩვენ გავიმარჯვებთო. „მტრის მხარეზე დიდი უპირატესობაა, მთელი მისი ძალები ევროპაშივეა მოკრებილი, მაშინ როდესაც ჩვენი პერიფერიებზეა გატყორცნილი. აი, ამიტომ უფრო გვმართებს ჩვენ, მოკავშირეებს, მეტი ერთობა გვქონდესო“. ხალხი აღტაცებით ეგებება. ქუჩები საფრანგეთისა და იტალეთის დროშებითაა მორთული.

**პარიზი,** 1 თებერვალი. გერმანელთა რადიოტელეგრაფი იუწყება, ვითომც მათმა წყალქვეშამ დაჰლუპა ფრანგთა ჯავშნოსანი „სიუფრენიო“. ეს ჯავშნოსანი ამ ჟამად ტულონში იმყოფება.

**პარიზი,** 1 თებერვალი. კრეისერი „ადმირალ-შარნერი“ მართლა დაუღუპავთ. მას მოასწრეს სირიის მახლობთან და დილის 7 საათზე და 26 წუთზე დაჰლუპეს. კომანდამ ვერ მოასწრო ნავების ჩამოშვება.

**კოპენჰაგენი,** 1 თებერვალი. ჩეხიაში გერმანელთა სეიმის კავშირის აღდგენა მოხდა აღმასრულებელ კომისიის დაფუძნებით.

**ლონდონი,** 30 იანვარი. „ლლოიდი“ იუწყება, რომ გემი „ალაბამი“ დაიღუპაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**პოლონეთში.**

„ტაიმს“-ი იტყობინება: სამხედრო გუბერნატორმა პოლონეთის იმ ნაწილისა, რომელიც ავსტრიელებს აქვთ დაპყრობილი განკარგულება მოახდინა: რუსეთის ქვეშევრდომი პოლონელი სამხედრო ტყვეები ნაწილ-ნაწილ გაანთავისუფლონ და თავის კარ-მიდამოს დაუბრუნონ. ჯერ-ჯერობით, საცდელად გაანთავისუფლეს 1000 პოლონელი ტყვე.

„ნევ-იოურკ ჰერალდ“-ის სიტყვით, გერმანელებს კანადაში დიდი შეთქმულობა უმზადებიათ. გერმანელების აგენტებს უყიდნიათ 200 ათასი მაუზერის თოფი და კანადის სხვა და სხვა კუთხეში დაურიგებიათ. დიდძალი გერმანელი აფიცრობა მისულა თურმე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეიტრალ ნავთსადგურებიდან, ბელგიელი ხიზნების სახით. ეს აფიცრები ხელმძღვანელობას გაუწევენ შეიარაღებულ გერმანელებს, რომლებიც კანადას შეესევიან და გააფუჭებენ იმ არხებს, რომელთა წყალობითაც კანადიდან გააქვთ ხორბლეული. ამას წინად პარლამენტში ცეცხლის გაჩენა და სამხარ მასალის დამმზადებელ ქარხნის აფეთქება ამ შეთქმულების პირველი ნაბიჯი იყო თურმე. შეერთებული შტატების მთავრობა და მოკავშირეთა აგენტები ამ საქმის მეთაურებს დაეძებენ, მაგრამ ჯერ კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

**გერმანეთ-ავსტრია-ბულგარეთის ხელშეკრულობა.**

პარიზიდან იტყობინებიან: ავსტრია-გერმანეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ დაიდება საბოლოვოდ, როდესაც ბულგარეთი ნამდვილად მიიღებს მთელს ახალ სერბეთს და სხვათა შორის მონასტირს, დოირანს და გევგელს.

**საგულისხმო წერილები.**

ამას წინად შეერთებულ შტატებიდან, გერმანეთმა დაიბარა ვაშინგტონში მყოფი თავისი სამხედრო აგენტი კაპიტანი ფონ-პაპენი. მას აბრალებდნენ კანადის შეთქმულობის მოწყობას. გზაზე ფალმუტში ყველა ნივთები ჩამოართვეს, რადგანაც ინგლისის მთავრობისაგან შესაფერი დასტური არა ჰქონდა. ამ ნივთებში აღმოჩნდა რამდენიმე საგულისხმო წერილი. ერთი წერილი პაპენის სახელობაზე პოტსდამიდან იყო გამოგზავნილი 1914 წ. 25 მკათათვის თარიღით, სადაც სწერდნენ: „ავსტრიამ სერბეთს ულტიმატუმი წარუდგინა. სერბეთის მთავრობამ ულტიმატუმი არ მიიღო. ავსტრია, ალბად, ომს გამოუცხადებს. ასეთი სამხედრო მზადება, როგორიც ეხლაა, თავის დღეში არ გვახსოვს“.

მეორე უთარიღო წერილში (ალბად ჰატფელდისაა) ნათქვამია: „როგორც ჩემი მეუღლე მატყობინებს, ბულგარეთი ავსტრია-გერმანეთს მიემხრობა მარიამობისთვის გასულს, რუმინეთი კი ნეიტრალობას განაგრძობს“.

წერილებში აუარებელი ცნობებია, თუ ფონ-პაპენი რაოდენ ფულსა ჰხარჯავდა ამერიკაში მოკავშირეთა საწინააღმდეგო ორგანიზაციებისათვის.

**ბულგარეთის მეფის განცხადება.**

ბულგარეთის მეფე ფერდინანდს გერმანეთში გამგზავრების წინ, გერმანელ ჟურნალისტებისათვის განუცხადებია: მას მერე, რაც შევიტყვეთ, რომ შუაგული სახელმწიფონი ბულგარეთს უთმობენ ყველა იმ ადგილებს, რაც ბულგარეთმა დაიპყრო, ჩვენი ნდობა მათ მიმართ გაიზარდა. ჩვენ აღტაცებაში მოვყევართ საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს და, ცხადია, რაც-კი შეგვიძლიან, ხელსაც შეუწყობთ. სანანურად გვრჩება, რომ რუმინეთის ზოგიერთი მოღვაწენი უნდობლად ეკიდებიან ბულგარეთს, რომელიც ეგოდენ მსხვერპლსა სწირავს. დამშევისა არ გვეფიქრება. რადგანაც ჩვენი გეოგრაფიული კავშირი ჩრდილო-ზღვიდან მოკიდებული მესოპოტამიას აღწევს და იმაზე მეტს სურსათს ვშოულობთ, რაც გვჭირდება. ჩვენც შევალთ შუა ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიურ კავშირში, გავაფართოვებთ საზღვრებს და უზრუნველყოფილნი ვართ, რომ ჩვენის მეომრების მიერ დანთხეული სისხლი, მერმისში მიანიჭებს ჩვენს ქვეყანას იმ მყუდროებას, რომელსაც ესწრაფის.

**ბელგიელებს ჯარში იწვევენ.**

ბელგიელთა მოსკოველმა კონსულმა ბრძანება მიიღო მოუწოდოს რუსეთში მყოფ ბელგიელ ახალგაზდებს 18—25 წლისას, გამოცხადდნენ ჯარში ჩასაწერათ. მობილიზაცია გაგრძელდება 28 იანვრიდან 28 თებერვლამდე.

**საფუფუნო საგნები.**

ბერლინიდან ... ძალება გერმანიაში ... ბის შეტანა.

**ჩხრეკა.**

კოპენჰაგენში დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ იქ 26 იანვარს მრავალი პირის ბინა გაუჩხრეკიათ, ეძებდნენ არალეგალურ ლიტერატურას. სხვათა შორის გაუჩხრეკიათ სოციალისტური ოპოზიციის სეკრეტარიატი, ბეჭდვითი სიტყვის ბიურო და სტამბა. ბევრ ადგილას მართლა იპოვეს რასაც ეძებდნენ.

**ბალკანეთის ამბები.**

რომაულ გაზეთების ცნობით ალბანეთის ფრონტზე ავსტრიელები იმდენად მიუახლოვდნენ იტალიელებს, რომ ახლო მომავალში მათი შეტაკება მოსალოდნელია. უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს კევეშის არმიას კრუჟა დაუჭერია და დურაცოდან 25 კილომეტრის მანძილზე იმყოფებაო. ალბანელი რაზმები ავსტრიელებს ემხრობიან. თავს ესხმიან სერბელებს და იარაღსა ჰყრიანო. სალონიკის ფრონტზე მაკენზენი მისულა და მოელიან ამ ახლო მომავალში ბრძოლის გამოცხადებასაო.

**რუმინეთში.**

27 იანვარს რუმინეთის მეფე ფერდინანდმა სადარბაზოდ მიიღო გერმანეთის მომხრე ცნობილი თ-დი კანტაკუზენი და კარპ დიმიტრი ნენიტცენკო, რომლებიც ეხლახან გერმანეთიდან დაბრუნდნენ. მათ მეფეს გაუზიარეს გერმანეთის აზრი, რომ სასურველი იყო მთავრობას სათავეში ალექსანდრე მარგილომანი ჩამდგარიყოვო.

ამბობენ მეფე კმაყოფილია ეხლანდელ მინისტრ-პრეზიდენტ ბრატიანუსი და მას არ გაცხოველებასაო.

**საბერძნეთში.**

საბერძნეთის იუსტიციის მინისტრმა გუნარისმა განაცხადა: მუდმივი, უცვლელი ნეიტრალობა სინამდვილეში არ არსებობს. საბერძნეთის ახალი ნაბიჯი ქვეყნის არსებითს საჭიროებასთან იქნება შეთანხმებული.

თუ ავსტრია-გერმანეთი საბერძნეთის მიწა-წყალზე შეებრძოლება ინგლის-საფრანგეთის ჯარს, საბერძნეთის ჯარი შუაგულ საბერძნეთში გადაიყვანება და ბრძოლის გარეშე მაყურებლად დარჩება.

**სომხების ჟლეტა.**

„რუსკოე სლოვოში“ მოთავსებულია ცნობა ინგლისურ გაზეთის „ტაიმსის“ კორესპონდენტისა, სადაც ამბობს: სომხების ხოცვა-ჟლეტა ამ ბოლო დროს უფრო სასტიკი და შემზარავია, ვიდრე აბდულ-ჰამიდის დროს იყო.

ხოცვა-ჟლეტა გერმანელების თვალწინ ჰხდებოდა, მათის დასტურით და მათის მიშველებითაო. თუმცა სომხები გერმანელებს შველას სთხოვდნენ, მაგრამ გერმანელები საქმეში არ ერეოდნენ და როგორც უნდოდათ ოსმალები სომხებს ისე უსწორდებოდნენო.

ყველა სომეხი მამაკაცი სახელმწიფოს შუაგულ ადგილას იქმნენ გადასახლებული და იქ ან დანის მსხვერპლნი ხდებოდნენ და ან შიმშილისა. გერმანელები მათ ცოლშვილს მხოლოდ სანუგეშო წერილებს უგზავნიდნენ. ქალები და დედაკაცები ოსმალებს გარდაეცათ და მათს სრულ განკარგულებაში იმყოფებიან. მათი ბედი აუტანელიაო.

**გერმანეთის ხრიკი.**

ლონდონიდან იტყობინებიან; ის ხმა ვითომც გერმანეთმა დაჰკეტა საზღვარი შვეიცარიისა, ბელგიისა და ჰოლანდიისა და ისიც ვითომც გერმანეთი მონასტირთან ჯარს აგროვებსო—მხოლოდ ხრიკია, რათა მოკავშირენი შეცდომაში შეიყვანოსო. გერმანეთი სულ სხვას განიზრახავს, რათა მოულოდნელი და ძლიერი ბრძოლა გამართოს და ამით რუმინეთზე ზეგავლენა მოახდინოსო.

**ბუკოვინაში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან, ბუკოვინის მიდამოებში ავსტრიელებმა ჯარის გადაყვან-გადმოყვანა მოაწყესრიგეს. მათ მიუმატეთ გერმანეთის და ბულგარეთის ჯარი. ბოიანის და ცურენის შუა არტილერიის მცირე შეტაკება სწარმოებსო.

# ბრძოლის ველზე

რიგა-დვინსკის რაიონში ბრძოლა უფრო და უფრო მკვეთრი ჰხდება. არტილერიის მოქმედება განსაკუთრებით გაცხოველდა ოლაისა და დალენის კუნძულ შორის: რიგის არემარეში კვლავ გამოჩნდნენ გერმანელი ჰაეროპლანები. მეტად მკაცრი ბრძოლაა დვინსკის არემარეში. მდ. პრიპიატის სამხრეთით სამხედრო ოპერაცია განისაზღვრა მზვერავ რაზმების უმნიშვნელო მოქმედებით.

ყველაზედ მნიშვნელოვანია აზრუმის გარშემო ატეხილი ბრძოლა. რუსის ჯარი დაინტერესებულია აზრუმი რაც შეიძლება მალე დაიმორჩილოს, რომ მაშველად გამოგზავნილი ოსმალ-გერმანელთა ჯარი აღსრულებული ფაქტის წინაშე დასვას და საშუალება მოუსპოს ფეხი მოიკიდონ ერთად ერთ ციხე-სიმაგრეში, რომელიც მთელი კავკასიის ფრონტის ბურჯი და ბაზა იყო. ამ მხრივ რუსებმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს. იმ ორი ფორტის გარდა, რომელიც რუსებმა აიღეს ამ ორი სამი დღის წინად, გუშინდელი დეპეშის გადმოცემით კიდევ შვიდი ფორტი აუღიათ.

—

ბრძოლის დღიური უკვე აწყობილი იყო რომ საგანგებო დეპეშამ აზრუმის აღების ამბავი მოიტან .

**მეგრი.**

## თბილისი, 4 თებერვალი

**რეფორმების ბედი ჩვენში.** ჩვენი საზოგადოება რეფორმებს იმ თავითვე თხოულობდა, რათა მის ენერგიას იმდენად მაინც გაშლოდა ასპარეზი თვითმოქმედებისათვის, რამდენადაც ეს შეწყნარებულია რუსეთის შიდა გუბერნიებში. კანონიერ ხმას აბათილებდენ მოკლედ და უბრალოდ: რეფორმების მისაღებად არც ქართველობა არის მზად და არც კავკასიის სხვა ერიო.

რეპლიკა თავისთავად ახირებულია, მისი არც პრინციპიული დაცვა შეიძლება და არც ლოღიკური. შემდეგ როდესაც გამოირკვა რომ, შედარებით რუსეთის გუბერნიებთან, არც ისე ჩამორჩენილი ვიყავით და რომ უპირატესობებიც კი გვქონია, მაშინ პრინციპიალად შეწყნარებული იქმნა ქვეყნის კანონიერი მოთხოვნილება და მთავრობაც შეუდგა საჭირო მასალის დაგროვებას. რუსეთ-იაპონიის ომის უკანასკნელ და ზედ მის მომდევნო ხანებში მორიგ სადღეისო საკითხად გადაიქცა ერობისა და ნაფიც ვექილთა სასამართლოს შემოღება ჩვენში.

გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა შუამდგომლობაც-კი აღძრა ცენტრის მთავრობის წინაშე და საკუთარი მოხსენებაც წარადგინა. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ამ მორიგმა საკითხმა დაჰკარგა თავისი მორიგი ხასიათი და მისი ხსენებაც მისწყდა. ეხლაც ამ ომის ხანაშიც პირველი ენტუზიაზმის დროს, ყველა პოლიტიკური სკოლისა და მიმართულების რუსეთი გულხალვათად აღიარებდა რეფორმის დაუყოვნებლივ შემოღების საჭიროებას. მაგრამ დროს განმავლობაში ეს ენტუზიაზმი განელდა პარტიებმა თავიანთი თავი და ფარგალი კვლავ გამოიხაზეს და ბევრი მათგანი დღეს სრულიად შეუძლებლად სცნობს შინაურ საქმეებზე ზრუნვას. ასეთ დროს, ამ გვარ პოლიტიკურ გონება-დაფანტულობის დროს იკრიბება სახელმწიფო სათათბირო. ხალხის წარმომადგენლებმა უნდა უწყოდენ, თუ რა მდგომარეობაშია მთელი ქვეყანა და რამდენად შერყეულია მისი ეკონომიური ვითარება. კერძოდ საქართველო, რომელსაც ომის გარდა სხვა განსაკუთრებული გარემოება ზედ დაერთო, მეურნეობის ღრმა კრიზისს განიცდის, რომლის ასაცდენად მას დასჭირდება მთელი თავისი შემოქმედებითი ძალისა და ენერგიის ამუშავება. ქვეყანას დღეს მაინც, ასეთ ძნელს პირობებში უნდა აეხსნას ის ხუნდები, რომელიც ბორკავს მის თვითმოქმედებას და მიეცეს სახელდახელოდ ის რეფორმები, რომელიც რამოდენიმეთ მაინც ჰგუობს ამ თვითმოქმედებას და რომელიც დიდი ხანია მინიჭებული აქვს რუსის საზოგადოებას.

ქართველი დეპუტატები მოვალენი არიან თვითონ ქვეყნის ამ მიმდინარე რეალ საჭიროებაზედ ხმა აღიმაღლონ.

# პრესა

„შინაური საქმეები“ ბოლო დროს მეტს სიცოცხლეს იჩენს. მორიგ ნომერში ფრიად საყურადღებო წერილია მოთავსებული ონოფრე მწირისა ჩვენის ეკლესიის საკითხის შესახებ. ვბეჭდავთ მცირეოდენი შემოკლებით:

„მოსაწყენია განმეორება იმ საანბანო ჭეშმარიტებისა, რომ სანამ ჩვენ ჩვენს ხელში არ გვეჭირება საჭე ჩვენი ეკლესიური ხომალდისა, სანამ ჩვენს ეკლესიას არ ეყოლება ჩვენი ერის გულიდანვე გამოსული მამა და წინამძღვარი, მესაიდუმლე და მოყვარე ერის გულისა, მანამ ჩვენ გაცივებულ სულიერ ცხოვრების განახლებაზე ლაპარაკი ან გულუბრყვილობაა, და ან ვისიმე საჭირო-სასარგებლო ფარისევლობა. ეს გრძნობა, ეს მისწრაფება, რომელიც, სამწუხაროდ ჩვენდა, დიდი ხანია, რაც ტიალ ბედის წყალობით აღმოიფხვრა ქართველთა უმეტესობის გულიდან, სრულიად ბუნებრივია კაცობრიულად და ყოვლად კანონიერი ქრისტიანულის თვალსაზრისითაც. პიროვნების ცხოვრება, მისი მოქმედება იმდენად ნაყოფიერია და მნიშვნელოვანი, რამდენადაც საფუძვლად უდევს მას პიროვნებისვე საკუთარი ნება და შეგნება. ასე ითქმის მთელ ერზედაც. სანამდის იგი განსაკუთრებულ ფიზიონომიის მატარებელი სულიერი ერთეულია, ერთეული, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ-შედუღებულა და რომელსაც თავის ხანგრძლივ კულტურულ მსვლელობაში შეუსისხლხორცებია საკუთარი გამოცდილება და ხასიათი, გაუკაფავს საკუთარი გზა, შეუქმნია საკუთარი საუნჯე სულიერის სიმდიდრისა. მოაშორეთ იგი თავის შეთვისებულ ძუძუს, აუნგრიეთ ნაცნობი კერა, მოუშალეთ სისხლით და ოფლით გარკვეული გზა და თქვენ თვალ წინ მთელის თავის სისაზარლით გადაიშლება სურათი სულიერის სიკვდილისა და დამონებისა. „და იყოს სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნუ იყოფიან მკვიდრი მას შინა, და განსაგებელი მისი სხვამან მიიღენ“. ასეთს სურათებს მრავალს ინახავს ისტორია. ეს ჭეშმარიტებაა, ცხოვრებით გამართლებული და საღმრთო კანონითაც აღიარებული. მაგრამ როდის ყოფილა, რომ ჭეშმარიტება თავისუფლად შემოეშვათ ცოდვილ დედამიწის შვილებს. ასე დაემართა ჩვენს სრულებით კანონიერს მოთხოვნილებასაც ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ვითხოვეთ ის, რაც თვით ეკლესიის დამფუძნებელმა მოგვცა, თავის ღვთიურ სისხლით შეგვძინა, რაც წმ. მსოფ. კრებებმა თითოეულ ერის ხელშეუხებელ კუთვნილებად აღიარა და რითაც სარგებლობს დღეს ყველა ქრისტიანი კულტურული ერი. რუსეთის მმართველ სამღვდელოებამ კი თავიდანვე უარყოფითის თვალით შეხედა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. განა მისთვის, რომ ამ საკითხის სინამდვილე—სამართლიანობა აწუხებდა? ვეჭვობთ. სამწუხარო სინამდვილე ლაღადებს, რომ ავტოკეფალიის ოფიციალური მოწინააღმდეგენი საკუთარ სარგებლობის საზომით აფასებდენ ამ ავტოკეფალიის სწორ-სამართლიანობას. **აბა რას ნიშნავს ის ფანატიკური** ქრისტიანობა და ცხადი წინა განზრახულება, რომელიც გამოიჩინეს მოწინააღმდეგებმა? რას ნიშნავს ის სავალალო ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს „ვოსტოროგოვები“ და „ნიკანდრები“ არჩევდენ „მეცნიერულად“, არჩევდენ ისეთი პირები, რომელთაც ამ საკითხის წყაროების სრულებით არა გაეგებოდათ რა? ჭეშმარიტებამ მაინც თავი არ დამალა. დასასრულ, მოწინააღმდეგეებმაც აღიარეს ისტორიული უფლება და კანონიერი სამართლიანობა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა.

ასეთი აღსარება გამოსჭვივის სინოდალურ ორგანოს 1909 წ. 45 ნომერში: „კანონიურად არაფერი წინააღმდეგი არ არის, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა მიეცეს, თუნდაც რომ სულ არ ქონოდა ეს მანამდის. უფრო კანონიერი იქნება, ეს საკითხი ისტორიულ ნიადაგიდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადავიტანოთ და მის გადასაწყვეტად მივიღოთ მხედველობაში სხვა პრაქტიკული საკითხები“... კანონიერ ნიადაგზე ზრუნვა არავის აცხელებდა, თორემ ასე ადვილად არ გასთელავდენ ისტორიის უტყუარ მოწმობას, გაგონების ღირსად გახდიდენ აღმოსავლეთის მცხოვან დედა-ეკლესიათა ხმას, რომელნიც ერთხმად ამტკიცებდენ, რომ საქართველოს ეკლესია დიდი ხანია ავტოკეფალურ უფლებებით შემოსილია და ამ უფლებათა კანონიერი ახდა მათ დღემდი არა სმენიათ. ვიმეორებ, არავის აფიქრებდა კანონიერი ნიადაგი, არამედ, როგორც თვით მოწინააღმდეგენი აღიარებენ „სხვა პრაქტიკული საკითხები“ იყო მათი ჭაპან-წყვეტის ბორბალი. მას შემდეგ რამდენიმე წელმა გაიარა. „სხვა პრაქტიკული საკითხები“ ალბად დღემდის არ იძლევა ნებას პასუხი მისცენ ქართველ მორწმუნეთა სამართლიანს ქრისტიანულს თხოვნას, დააკმაყოფილონ მათი ბუნებრივი წყურვილი.

სადამდის უნდა ვიყოთ ასე, დაცემულნი, მშიერნი და მათხოვარნი? დღეს მრავალნი რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებას შეჰყურებენ და მისგან მოელიან საკითხის გადაწყვეტას. ღმერთმა ქმნას! მაგრამ ვაი თუ ამ კრების მომლოდინეს ის ბედი ეწიოს, რაც ოდესმე ვინმე ბაჩიას, რომელიც შარა-გზაზე იჯდა თურმე და ფიქრობდა: „დადია“ გამოივლის, მოწყალებას მომცემსო. როდის და როგორი იქნება რუსეთის მომავალი ადგილობრივი კრება? აი საკითხი, რომელსაც ღრმად უნდა ჩაუკვირდეს, ვინც წმიდა გულით და შეგნებულად ეკიდება დასახულ მიზანს. ვინც აკვირდება რუსეთის ეკლესიურ ცხოვრების მიმდინარეობას, მე მგონია, ამ მხრით სანუგეშოს დღეს დღეობით ბევრს ვერაფერს დაინახავს. ეკლესიური თავისუფლება და სეპარატიზმი, ავტოკეფალია და რევოლიუცია დღემდი ერთმანეთისგან ვერ მოუშორებიათ არა თუ ვოსტორგოვებს და ამხანაგთ, არამედ მაღალ-განათლებულ და ეკლესიურ ცხოვრების განახლების მოტრფიალე პირებსაც. ასე ბუნდოვანად გამოიყურება ჩვენი მომავალი იმედი...

ვისაც ახსოვს განმათავისუფლებელ დროის გამოღვიძება და სარწმუნოებრივი სიცხოველე ჩვენი სამღვდელოების, თუ საერთოდ არა, შეგნებული ნაწილს მაინც, ის უსათუოდ იფიქრებს, რომ ჩვენში დღეს ერთი ათად სდუღს და ჰღელავს ეს სიცოცხლე. ნამდვილად კი დღევანდელი ჩვენი ეკლესიური მდგომარეობა ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორსაც გავერანებული და მიტოვებული სასაფლაო. სადაა ცხოველი ლტოლვა? სადაა ცოცხალი აზრი? სადაა ენერგიული მუშაობა? მოვითხოვეთ ავტოკეფალია და არხეინად ვზივართ გულზე ხელ-დაკრეფილნი მის მოლოდინში. რა არის ავტოკეფალია, როგორც გარეგანი სხეული, თუ მის ნერვებში არ იტრიალებს ნორჩი და მძლავრი წყარო სიცოცხლისა? მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ გარეგანი წყობილება წინამორბედი და ძლიერი ფაქტორი არ იყოს თვით შინაგან ცხოვრების წინსვლა-გაუმჯობესობისა, მაგრამ ის კი მტკიცედ მწამს, რომ რავდენადაც გარეგანი ფორმის სიავ-კარგეს მნიშნელობა აქვს თვით ცხოვრების განახლებისთვის, იმდენადვე ამ ფორმაში ჩამდინარე ცხოვრების თვისებაზეა დამოკიდებული მისი სიმტკიცე დ ნაყოფიერება. ამისთვის, მე მგონია, სრულებით სულ ერთი არ არის, თუ რანაირს მასალას შეისისხლხორცებს განახლებული წყობილება ჩვენი ეკლესიისა. ამას დაუყონებლივ ყურადღება უნდა მიაქციოს, ვისაც ჩვენი მომავალი აინტერესებს. **საჭიროა გაღვიძება, გამოცოცხლება ეკლესიურ თვითშეგნებისა ჩვენ შორის.** ამ მხრით თითქმის არაფერი კეთდება ჩვენში. ანდაზად გადაქცეული თქმულება, თუ როგორ ვინმე სასულიერო მამას ავტოკეფალია „კიფალი“ გონებოდა, სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენდა, დღესაც მთლად სიმართლეს მოკლებული არაა. თუ ასეთ მდგომარეობაშია მწყემსთა უმეტესობა ჩვენში, რა ითქმის უბრალო ეკლესიის წევრზე, რომელსაც ეკლესია და ეკლესიური ცხოვრება თავის სოფლის გორაკზე წამოსკუპული ტაძარი გონია! სად არის ამ დროს მოციქულებრივი სული ჩვენი მოწინავე სამღვდელოებისა? არ ისმის მწყემსური სიტყვა, არა გვაქვს შესაფერი პრესა; არ მოგვეძევება საჭირო ლიტერატურა, არ ირკვევა ათასი საკითხი, რომელიც დღეს თავს დასტრიალებს ჩვენს ეკლესიას, თუმცა გვყვანან, და საკმაოთაც, ისეთი პირები, რომელთაც ვალად აძევთ და შეუძლიათ კიდეც ამისი ასრულება. „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვიან“; მაშ როცა პირი სდუმს, რა ვიფიქროთ? ვაი თუ გულიც ცარიელია!“

# დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**ენვერ ფაშა დაჟინებით მოითხოვს რომ კავკასიაში გაიგზავნოს ოსმალთა ის ჯარები, რომლებიც თრაკიაში სდგანან. ამას ეწინააღმდეგება გერმანელთა სამხედრო შტაბი, რომელიც სალონიკის ასპარეზს უფრო მნიშვნელოვან ასპარეზად სთვლის.**

—

**ინგლისი ახალ სამინისტროს ჰქმნის, საჰაერო თავდაცვის სამინისტროს.**

—

**ინგლისის მთავრობის დელეგაციას, რომელიც გაიგზავნა ბელგეთის მეფე ალბერტთან, მიზნად აქვს დასახული როგორმე დაიყოლიოს ბელგეთის მეფე მხარი დაუჭიროს და მიემხროს მოკავშირეთა დეკლარაციას, რომ ცალკე, სეპარატიულად ზავს არ ჩამოაგდებს გერმანეთთან.**

—

**პროგრესიული ბლოკი თავის დეკლარაციაში მოითხოვს საზოგადოებრივ ნდობის სამინისტროს შედგენას.**

—

**მინსკის სამხედრო სასამართლო იხილავს 12 პოლონელის საქმეს, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი 102-ე მუხლის ძალით.**

—

**იუსტიციის სამინისტრო თანახმაა, რომ თბილისში დაწესდეს ნაფიც ვექილთა საბჭო.**

—

**გამოირკვა რომ გერმანეთის ცნობილი კრუპის ქარხნები საჭირო მადნეულობას ინგლისიდან ღებულობს ბელგიითა და ჰოლანდიით.**

—

„Berliner Tagebllatt“-ი სწერს: „ყველა ასპარეზიდან დღემდე გერმანელებმა ტყვედ წამოიყვანეს ერთი მილიონი ოთხას ათასი ჯარისკაცი, ხელთ იგდეს ცხრა ათასი ზარბაზანი და ერთი მილიონი სამას ათასი თოფიო“.

—

**ბულგარეთი ახალ სამხედრო მოქმედებისთვის ემზადება. ჯარების გადაყვან-გადმოყვანაშია გართული.**

**ვარნაში დაწესდა ბულგართა ახალი სამხედრო შტაბი, რომელიც მეტნაწილად გერმანელ ოფიცრებისაგან შესდგება.**

—

**ამერიკის სამხედრო მინისტრი, რომელიც სამსახურიდან გადადგა, გერმანეთთან შეთანხმების ჩამოგდებისა ლუზიტანიის ინციდენტის გამო.**

—

**განზრახულია ლიტველ მოღვაწეთა ყრილობის მოწვევა.**

—

**ინგლისის სავაჭრო ფლოტს გერმანეთი სამხედრო ფლოტად სთვლის.**

—

**გერმანეთმა გადასწყვიტა გააძლიეროს და გაამრავლოს წყალქვეშა ბრძოლა.**

—

**იტალია ახალ ომის გამოსაცხადებლად ემზადება.**

—

**ესად ფაშამ გადასწყვიტა თავის მთაშაველებით კუნძულ კორფუზე გაემგზავროს.**

—

**ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთი „ტანინი“ მოითხოვს ოსმალეთის ჯარი შეტევაზე გადავიდეს კავკასიისა და მესოპოტამიის გასანთავისუფლებლად.**

—

**სახელმწ. სათათბიროში პროგრესიული ბლოკი ახალი დეკლარაციით გამოვა, ძველი მარიამობისთვის დეკლარაცია ბლოკმა დროგადასულად ჩასთვალა.**

—

**მოსკოველი მონარქისტები მართვენ სრულიად რუსეთის მემარჯვენეთა კონგრესს პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

—

**მოსკოვში გამოდის „არმიანსკი ვესტნიკი“, სომეხთა საკითხის გამორკვევისა და პოპულიარიზაციისათვის.**

გ. ვ.

# ახალი ამბავი

**გუშინ თბილისში ხმა გავრცელდა, რუსის ჯარმა აზრუმი აიღოო. ქალაქში ბაირაღები გამოჰკიდეს.**

**პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა ბედი.** უმაღლესი ბრძანების თანახმად მეორე ხარისხის მოლაშქრეებს 1916 1908 წლებისას იწვევენ იმპერიის ყველა გუბერნიებიდან და ოლქებიდან, გარდა კავკასიისა ამურის საგენერალ-გუბერნატოროდან. პირველხარისხის მოლაშქრეებს კი 1916 წ. 1903 წლ. გაიწვევენ კავკასიიდანაც. რაც შეეხება თეთრ ბილეთიანებს, მათ შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, ხელახლად არ შეამოწმონ პირველ მარტამდე 1916 წ. რომელნიც ისეთს დაწესებულებაში მუშაობენ, სადაც კი ხელს უწყობენ სამშობლო დაცვის საქმეს.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ მიიღო მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტისაგან აღთქმულ თანხიდან 11 ათასი მანეთი გასულ იანვრის ხარჯების დასაფარავად: 2.000 მანეთი ხულოს საავადმყოფოსათვის, 8000 მან. ქაროველ მაჰმადიანთა 4 სასწავლებლისათვის და 1.000 მან. გადმოხვეწილთა ბავშვების სკოლა-თავშესაფარისათვის.

**სამოსლების დარიგება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებულ ქალთა კომისიის მიერ დამზადებულ სამოსლებს ბათომის გუბერნატორის სახელობაზე გაგზავნის საზოგადოების მთავარი გამგეობა. გამგეობის დადგენილებით ამ ტრანსპორტს მიჰყვებიან ბათომში ქ-ნი ჭილაშვილისა და ქ-ნი ნ. ბ. ყიფიანისა, რომელნიც საზოგადოების ბათომის განყოფილების წევრთა დახმარებით სამოსლებს დაურიგებენ ბათომის ოლქის სოფლებში ომიანობისაგან დაზარალებულთ.

**შუამდგომლობა.** წერა-კითხვის საზოგადოების სკოლათა მეთვალყურემ გრ. ბურჭულაძემ თხოვნა მიართვა „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს იშუამდგომლოს კლუბის წევრთა საზოგადო კრების წინაშე, რომ კლუბმა თავისი ხარჯით დაარსოს ერთ-ერთ სოფელში წერა-კითხვის სკოლა, რომლის შენახვასაც წლიურად დასჭირდება 1,300 მანეთი.

**კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო** კრება შესდგა, უგანათლებულეს თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, 2 თებერვალს. კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება 1913 და 1914 წლების საზოგადოების ანგარიშის შესახებ. ამ მოხსენებამ ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პ. ა. გრუზინსკიმ, ვ. ი. რცხილაძემ, ე. ო. იოსელიანმა, პ. გ. მელიამ, ა. ს. ფირალოვმა, ა. ს. ბაბოვმა, მ. ი. ავდეევმა და სხ. ბოლოს კომისიის მოხსენება კრებამ მხედველობაში მიიღო. შემდეგ არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს საზოგადოების 1915 წლის ანგარიში. ეს მოხსენება მზად უნდა იქმნას 3 კვირის განმავლობაში, რათა წარედგინოს იგი საზოგადოების წლიურ კრებას 27 ამა თვეს. კომისიაში წევრებად შედიან ბ-ნნი ალიბეგოვი, დორმანი და ოგანჯანოვი.

# ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება

საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა 2 თებერვალს: 1) იშუამდგომლოს ქართლ-კახეთის თავად აზნაურობის წინაშე, რომ გადასდვას 4,000 მანეთი წერა-კითხვის სკოლების დასაარსებლად ქართველ მაჰმადიანთათვის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში; 2) თანახმად საზოგადოების წევრთა წლიურ კრების დადგენილებისა და სასკოლო სექციის მოხსენებისა დააარსოს 1 ენკენისთვიდან პირველ დაწყებითი სკოლები საინგილოსა, ბორჩალოსა და განაპირა სამეგრელოში; 3) განსვენებულ ეგ. ხრამელაშვილის ანდერძის გამო ატეხილ დავის შესახებ საზოგადოებასა და სოსიკო მერკვილაძეს შორის მთავარმა გამგეობამ შესაძლებლად სცნო დავა მორ[illegible] მერკვილაძესთან [illegible] კარიჭაშვილს მორიგების პირობები; 4) დამტკიცებულ იქნას სახალხო კითხვების და ბიბლიოთეკების მომწყობ სექციის მოხსენება შესახებ იმისა, რომ სოფლად მოეწყოს სინემატოგრაფიული სეანსები და მიწვეულ იქმნას ბ-ნი გ. ლობჟანიძე, რომელიც ვალდებული იქნება გაჰყვეს საზოგადოების ლექტორს დაბა-სოფლებში სეანსების მოსაწყობად.

# შინაური მიმოხილვა

**კვირიდან კვირამდე თუ თვიდან თვემდე**

(დასასრული)

აქამდის ჯერ არავის უჩუქებია ჩვენთვის ბ-ნი ნიკო თავდგირიძე. არც ჩვენ ვიჩემებდით რადგან არც ვიცნობდით და არც გვიცნობდა. ბ-ნი ნიკო თავდგირიძე მხოლოდ მაშინ გავიცანით, როდესაც მან მოიწადინა პრაქტიკულად გამოეყენებინა ის ქრისტიანულ-ინტერნაციული იდეოლოგია, რომელიც ჩვენი ქვეყნის რეალ საჭიროების სავნებლად ასე გულ და გულ განამტკიცეს „რეალ მოსახლეობისა“ და სხვა ჯურის სოციალისტებმა. ბ-ნი ნიკო თავდგირიძე გავიცანით მაშინ, როდესაც მან პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებისთვის სოხუმის ოლქში კერძო საკუთრების შეძენის უფლება მთავრობისაგან გამოეთხოვა, გავიცანით და მაშინათვე ჩვენი სოციალისტების ახირებული კაცთ-მოყვარეობის იდეოლოგიის პრაქტიკულად გამნაღდებელი პოლიტიკოსი მოღვაწე მის ნამდვილ სულიერ მამებს მივაკუთვნეთ. ეხლა-კი ბ-ნი სამსონ დადიანი უცნაურ კითხვით მოგვმართავს: ნუთუ „საქართველომ“ არ იცოდა როგორ შეხვდა სოც.-ფედერალისტური პრესა თავდგირიძის პროექტსა და შუამდგომლობას? არ იცოდა განა, რომ თავდგირიძე თავის პოლიტიკურის მსოფლმხედველობით თუ ემხრობა ვისმე, სწორედ იმ მიმართულებას, რომელსაც იზიარებს „საქართველო?“ ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ, რომ როგორც „სახ. ფურც.“ ისე „მეგობარი“ იმ სამი საბუთიდან რომელიც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი და გვამცნევდა სოხუმის თვითმართველობის „მამულიშვილურ საქმეს“, შეეხნენ მხოლოდ იმ საბუთს, რომელიც სოხუმის ოლქის ადმინისტრატიულ მოწყობის პროექტს გაუჩუმდენ სწორედ იმას, რომელიც სომხებს შეეხებოდა და ჩვენთვის უაღრეს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა. ამის თაობაზე შესაფერი შენიშვნა მივეცით კიდეცა ხსენებულ გამოცემათ და თუ შემდეგ სოც.-ფედერალისტურმა პრესამ კრიტიკა მოიმარჯვა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს კვირაში ორი პარასკევი აბადია.

ერთ პარასკევს ძეხვსა სჭამს, მეორეს კი მარხვას ინახავს. თავდგირიძის გაკიცხვა ფედერალისტების მიერ განკიცხვა მარხვის შენახვის პარასკევს უნდა მომხდარიყო. ფედერალისტების მიერ „რეალ მოსახლეობის“ იდეის ქადაგებამ წარმოშო სომეხ-ქართველ მოღვაწეთა პროექტები, საქართველოს შესაკუმშად. რაც დაგითესიათ ის მოიმკეთ. რაც შეეხება ბ. თავდგირიძის ვითომდა „საქართველოს“ მიმართულებასთან ძმობას, ეს ამბავი ჩვენთვის როგორც მოგახსენეთ უცნობი ხილია. არას დროს „საქართველოს“ წრეში არ უმუშავნია. აი „სახალხო ფურცლის“ სამსონ დადიანს „კლდის“ სამსონ დადიანზე რომ მიეთითებინა აქ მართლაც ერთგვარ უხერხულობას ვიგრძნობდით. მაგრამ ჩვენ არა, რასაკვირველია, ბ. სამსონ დადიანი!

—

რომ თვიდან-თვემდე უფრო შინაარსიანი ყოფილიყო ბ. დადიანი კოოპერაციის საკითხის განხილვასაც შესდგომია, უფრო-კი იმიტომ რომ „საქართველო“ ხაფანგში მოემწყვდია..—რას იტყვით ეხლა თქვე ბურჟუების მცველებო, კოოპერაცია ხომ ეწინააღმდეგება არსებითად ბურჟუაზიის მიმართულებასაო?—დღეს ვინ არ სწერს ჩვენში კოოპერაციაზედ? ყველანი, ვისაც კი გაუგონია, რომ სახელმწიფო ბანკი საკრედიტო ამხანაგობებს აარსებს და ან მომხმარებელ საზოგადოების წესდება წაუკითხავს. და არც საკვირველია, რომ ბევრი უცნაური რამ დაიწერა ქართულ კოოპერაციის თვისებებზედ, მაგრამ ის რასაც ბ. დადიანი ეხლა სწერს ყოველ უცნაურობას აღემატება. რადგან თვით ს. დადიანი ამ თემის განხილვაში სისუსტეს ჰგრძნობს ბ. არ. ჯ—შვილის ავტორიტეტს (?!) მიმართავს. აი რასა სწერს ხსენებული ავტორიტეტი: „სოციალისტურ პარ-

ტიას არ შეუძლიან ხელი არ შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ერის საწარმოვო ძალებს ანთავისუფლებს და ფართო სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს". მართლადაც, ყოვლად შეუძლებელია განაგრძობს ბ. დადიანი—როგორც ეს არ. ჯ—შვილმა აღნიშნა, რომ ბურჟუაზიული პარტია გულწრფელად მხარს უჭერდეს კოოპერაციას, რადგანაც ყოველი ამხანაგობა, დემოკრატიულ ნიადაგზე მდგარი, ძირს უთხრის კერძოობის ფსიხიკას. პარტია, რომელიც კერძო საკუთრების პრინციპს უდგას დარაჯად, ვერას დროს ვერ შეიწყნარებს იმ მისწრაფებას, რადგანაც იგი ნაბიჯია ამ კერძო საკუთრების გაუქმებისაკენ"!

ეს ახალი აღმოჩენა, რომ კოოპერაცია უარყოფს კერძო საკუთრების ინსტიტუტს—რასაკვირველია ფედერალისტთა ბანაკს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ბანაკში მუდმივ მუშავდება ახალი უნივერსული თეორიები და ცხოვრების კანონები, ისტორიის ყოველ მაგალითებისა და რეალ ცხოვრების პრაქტიკის გარეშე. საინტერესოა შევეკითხოთ ბ. დადიანს, რა საფუძველზედ აღმოცენდა და გაიფურჩქნა გერმანეთის, დანიის, იტალიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების, მაგალითად, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია? თუ არ იცის და არ გაუგონია, ჩვენ ვეტყვით: **წვრილ მესაკუთრეობის პრინციპზედ და მის განვითარების პროცესზე.** იგი კოოპერაციას ხელს უწყობს ამ საკუთრების უკეთ გამოყენების გამტკიცებას. ეს ანბანია კოოპერაციის განვითარების ისტორიისა. საუცხოვო მაგალითებს ამ მხრივ იძლევიან დანია და გერმანეთი: ამ ქვეყნებში რამდენადაც ვითარდებოდა და წესიერ კალაპოტში დგებოდა წვრილი მესაკუთრის ცხოვრება იმდენად ყალიბდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა ამ ქვეყნების კოოპერატიული ორგანიზაციები. ამისი დაურღვეველი საბუთები მოიძებნება საკოოპერაციო კითხვების ყოველ სახელმძღვანელოში. და ამიტომ არც გავაგრძელებ ამაზედ ბაასს. თქმა არ უნდა, ნამდვილ კოოპერატორს მეტად უცნაურად მოეჩვენება ფედერალისტების ასეთი მორიგი აბსურდი, რომ კოოპერაცია ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების პრინციპს და კოოპერატიულ ორგანიზაციების მომწყობ მონოპოლისტებად სოციალისტები უნდა იყვნენ. სხვა დროს ამ თემას ჩვენ ცალკე დ დაწვრილებით შევეხებით და უფრო დეტალურად განვიხილავთ. ეხლა კი უნდა აღვნიშნო ღირებულება ბ. დადიანის „კოოპერატიული მსოფლმხედველობი"-ს დასკვნისა: „კოოპერაცია არსებითად საზოგადოებრივ ხასიათისაა და არა კერძოობის (?) და როდესაც ბურჟუაზიის ნათლისმცემელი „საქართველო" მას ექომაგება, ეს მხოლოდ იმას გვიმტკიცებს რომ ამ ჯგუფს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული თავისი თავი".

ამის შესახებ შევეკითხებით პატივცემულ ოპონენტს, ბ. სამსონ დადიანს: ვის აქვს შეგნებული თავისი თავი, იმათ, ვინც „კლდიდან" დაწყებული შეურყევლად და გულწრფელად იცავს მშობლიურ ეკლესიას, კერძო საკუთრებას, ბურჟუაზიულ დემოკრატიას, როგორც აუცილებელ ფაქტორს ერის ჯანსაღ ცხოვრების განმტკიცებისათვის თუ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც გუშინ კვირიდან-კვირამდე ნაციონალისტობდნენ „კლდეში" და დღეს თვიდან თვემდე სოციალისტობენ „სახალხო ფურცელში"?!

დ. კახელი.

## ქალაქის საბჭო

1 თებერვალი

კრება დაიწყო ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

**თავმჯდომარე.** ყველა კრებაზე საბჭო ორმესამედ დროს ანდომებს შეკითხვებს და ამის გამო ბევრი მორიგი საქმე განუხილავი რჩებაო. ამით მე იმის თქმა როდი მინდაო,—განაგრძო თავმჯდომარემ,—რომ ხმოსნები არაფერზე შეეკითხნონ გამგეობას, არამედ გთხოვთ, შეკითხვები ისეთ საგნებზე და მოვლენაზე, რომელნიც ფიცხელ და დაუყონებლივ პასუხს არ თხოულობენ გამგეობის მხრივ, დროებით გადადებულ იქმნან, სანამ საჩქარო მორიგ საქმეებს, მაგალითად, მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას არ განიხილავს საბჭოო.

**შეკითხვა**

**ხმ. ზორიანი.** შარშან თიბათვეში საბჭომ დაადგინა ავლაბრიდან ქალაქის განაპირას გადატანილი ყოფილიყო ბაკები. საბჭო იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ ეს ბაკები მოთავსებულია ხალხის საცხოვრებელ შენობათა შორის და სიბინძურით მრავალგვარ სენის გავრცელებას ხელს უწყობენ. საბჭოს დადგენილება ქალაქის გამგეობას სისრულეში უნდა მოეყვანა შარშანვე. ახალ წლიდან ნებართვა არ უნდა მიეცა ბაკების პატრონთათვის, სანამ ბაკებს არ გადაიტანდნენ ქალაქის განაპირა ადგილას.

გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი.** ბაკების პატრონებმა ვადის გაგრძელება ითხოვეს და გამგეობაც მათ მდგომარეობაში შევიდა, რადგან ადვილი საქმე როდია ერთი შეჩვეულ ადგილიდან აიყაროს ხალხი და უცხო ადგილას გადაიტანოს თავისი საქმე.

**აივაზოვის ანდერძი:**

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** გარდაიცვალა თბილისში კარგად ცნობილი ა. გ. აივაზოვი, რომელსაც შვილები არ დარჩენია. მან ანდერძით დაუტოვა თბილისის ქალაქის თვითმართველობას მთელი თავისი უძრავმოძრავი ქონება, რომელიც შესდგება ნაღდ ფულისა, ფასიანი ქაღალდებისა და ორი აფთიაქისაგან (ერთი თბილისში და მეორე ბაქოში). მთელი ეს ქონება უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. გარდა ამისა ხუთ სართულიანი სახლი ბროსეს ქუჩაზე. (**ხმები:** რომელია ეს სახლი?) **თავმჯდომარე.** თავად ერისთავისეული სახლი, რომელიც არსად არ არის დაგირავებული და არც კერძო ვალი აქვს. სახლი ღირს 100 ათას მანეთზე მეტი. ეს სახლი უნდა გაიყიდოს და ფულად იქცეს. ნაანდერძევის მთელი ჯამი დაახლოვებით შეადგენს 600—700 ათას მანეთს. ნაანდერძევ ფულის სარგებლით, თანახმად განსვენებულის სურვილისა, ქალაქის თვითმართველობამ უნდა დააარსოს განსვენებულის სახელობის სტიპენდიები საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. თითო სტიპენდიანტს წლიურად მიეცემა 450 მანეთი. სტიპენდიანტების $^3/_4$ უნდა იყვნენ ვაჟები, ხოლო $^1/_4$ ქალები. **ყველა სტიპენდიანტები უთუოდ უნდა იყვნენ თბილისში მცხოვრები სომეხი გრიგორიანები,** მიუხედავად ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომობისა, ხოლო თუ თბილისში მცხოვრებთა შორის არ აღმოჩნდებიან ამდენი მთხოვნელნი ანუ ღირსნი, ქალაქის თვითმართველობამ ასეთები უნდა მონახოს სხვა ქალაქებში მცხოვრებ სომეხთა შორის.

ქალაქის გამგეობამ უნდა შეამოწმოს ნაანდერძევ სიაში აღნუსხული ქონება და ამ საქმის შესრულება მიენდობა გამგეობის იურიდიულ განყოფილების გამგეს ბ-ნ ათაბეგოვს. როცა სიები შემოწმებული იქნება, მაშინ გამგეობა საბჭოს მოხსენებას წარმოუდგენს ანდერძის მიღების შესახებ.

**ხმ. გოთუას** თხოვნით თავჯდომარემ ხელმეორედ გარკვევით წაიკითხა, თუ ვის უნდა მოხმარდეს ნაანდერძევთანხების სარგებელი.

**ხმ. პ. ა. გოთუა.** ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ რომელიმე ქალაქის თვითმართველობას ასეთი ანდერძი მიეღოს. ჩვენი ქალაქის თვითმართველობა სომეხთა ნაციონალისტური დაწესებულება როდია, არამედ ეს არის თბილისში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა დაწესებულება. განსვენებული აივაზოვი დიდი ქებისა და პატივის ღირსია, რომ ასეთი უხვი შეწირულება დასტოვა საქველმოქმედო საქმისათვის, მაგრამ მას მისამართი შეშლია, ანდერძი უნდა დაეტოვებინა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის ანუ ნერსესიან სემინაარიისათვის, და არა ქალაქის თვითმართველობისათვის.

**ხმ. ხუნუნცს** ძალიან აკვირვებს ბ-ნ გოთუას განცხადება და აღშფოთებული ამტკიცებს განსვენებულ აივაზოვის გულუხვობას, რომელიც ქალაქმა დიდის მადლობით უნდა მიიღოს.

**ხმ. ევანგულოვი** დარწმუნებულია, რომ პ. ა. გოთუა ამ შემთხვევასაც უძღვნის თავისს გაზეთში ერთ წერილს მაინც, მაგრამ ქალაქის თვითმართველობის მხრივ სავალდებულოდ მიაჩნია ანდერძი დიდის მოწიწებით მიიღოს.

თავჯდომარე **ა. ი. ხატისოვი** (მორცხვად და დაბალის ხმით). ანდერძში არის ერთი მუხლი, რომლის შესრულება ქალაქს არ შეუძლიან. ეს მუხლი ამბობს: რაიმე საყვედურისა და უსიამოვნების თავიდან ასაშორებლად, სრულიად სომეხთა კათოლიკოსმა თვალყური უნდა ადევნოს ქალაქის თვითმართველობას, რათა ანდერძი დანიშნულებისამებრ სისწორით იყვეს შესრულებული.

ეს მუხლი ანდერძისა ისეთი დაბალი ხმით იყო წაკითხული, რომ ბევრმა ვერ გაიგონა. ამიტომ ხმ. გოთუამ მოითხოვა წანაკითხის განმეორება, რაიც შესრულებულ იქმნა.

**ხმ. გოთუა.** ეხლა უფრო ნათლად მტკიცდება სიმართლე ჩემი აზრის.

გამგეობის მოხსენება საბჭომ დადასტურა და განსვენებულ აივაზოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა.

**პოლკოვნიკ მამაცაშვილის პატივისცემა**

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** დასავლეთის ბრძოლის ველზე გმირულად სული დალია ყველა ჩვენგანისაგან პატივცემულმა და საყვარელმა არტილერიის პოლკოვნიკმა ლ. კ. მამაცაშვილმა. ძნელი ასატანია მისი დაკარგვა, მაგრამ თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასეთი გმირი შვა. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ძვირფას გმირის ხსოვნას.

წინადადება შესრულებულ იქმნა.

**ბინის ქირა**

ბინების ქირის მოწესრიგების შესახებ შედგენილი პროექტი სავალდებულო დადგენილებისა საბჭომ საგანგებო კომისიას გადასცა განსახილველად, რომელმაც თავისი შენიშვნები და მოსაზრებანი საბჭოს მომავალ კრებას უნდა წარმოუდგინოს. კომისიაში არჩეული არიან ხ-ბი ბაბოვი, ჭრელაშვილი, კაზაკოვი, გალსტიანი, დოლუხანოვი, ბაღდასაროვი და ბებუთოვი.

(დასასრული იქნება)

## რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერ. 12 *)

**ექსარხოსები ალექსი და პიტირიმი.**

ჯანღონით სავსე ინოკენტი 1913 წლის 9 ენკენისთვეს მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. პეტროგრადში და მის ადგილას ყოველივე მოლოდინის წინააღმდეგ დაინიშნა ალექსი მეორე (ერისკაცობაში მოლჩანოვი). სატახტო ქალაქების გაზეთები უდიადეს ქების კილოთი აღნიშნავდნენ, რომ „ახალი ექსარხოსი აწ განსვენებულ ინოკენტის მიერ ნავალ გზას დაადგებაო" **). ამ საგალობელს ცნობილმა ნ. დურნოვომ ტკბილი ჩასართავიც დაუმატა: „ალექსი ერთ-ერთი იერარქთაგანია იმ ძველი კურთხეულ დროისა, როდესაც ქართველთა და რუსთა უთანხმოების ხსენებაც კი არ იყოვო".

ასეთი დრო კი წარსულში ფაქტიურად არ არსებობდა—და მართლაც ალექსი მეორის მოღვაწეობა საქართველოში დროსა და ადგილის გარეშე დარჩა. თამამად შეიძლება და სიმართლეც მოითხოვს ითქვას, ალექსი მეორის დრო რომ სრულებით ამოვშალოთ საქართველოს ისტორიიდან, უკანასკნელს ამითი არა დააკლდება და არა მოემატება რა. მთელი მისი მოღვაწეობა იმაში გამოიხატება, რომ არავითარ საქმეებში პირად არ ერეოდა, მთხოვნელებს არ ღებულობდა, სამწყსოს თითქმის არ სჩვენებია გარდა პარადებისა, სადაც მის ყოფნას ულმობელი ეტიკეტი მოითხოვდა, მართვა-გამგეობის საქმე თავის თანაშემწეთ ჩაუგდო ხელში, რითაც შეიძლება უნებურად, მაგრამ უეჭველად ხელი შეუწყო საქმეთა აწეწ-დაწეწვას, თვითონ კარები ჩაიკეტა, მაგრამ ცხრაკლიტულიდან ფხიზლად თვალყურს ადევნებდა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სასახლის დიპლომატიას, რომ არ ჩამორჩენოდა უმთავრეს მიმდინარეობას. და ამავე დროს ვილაცა, ბალზაკის ჰანგზე თავგამოდებით და დაწვრილებით აუწყებდა ქვეყნიერობას მის თავგადასავალს, მისი ახალგაზდობის ყოფა-ცხოვრებას,—ალბად განსვენებულის ნებართვა-კურთხევით, რადგანაც ეს ყველაფერი იბეჭდებოდა კერძო გამოცემაში კი არა, თვით საეპარქიო მთავრობის ოფიცოზში***).

ცხადი იყო, რომ ეს ალვირ-წასხმული მდგომარეობა რაიმე ხიფათით გათავდებოდა, ასეც მოხდა. 1914 წლის 14 მაისს ექსარხოსის კანცელიარიის გამგემ ლ. პ. დანილოვმა თავი მოიკლა... განსვენებულს ვილაცა ხარკის ამკრეფ ინსპექტორმა დიდძალ საზოგადოების თანადასწრებით საფლავის წინაშე საგულისხმო სიტყვა უძღვნა... ის არ დაუსჯიათ, რითაც მისი სიტყვების სიმართლე უხმოდ დაადასტურეს... კანცელიარიის ხაზინადარი დაითხოვეს... 20 მაისს თვით ალექსიც გარდაიცვალა...

შემდეგი არქიელი პიტირიმი სწორედ ომის დაწყების წინ დაინიშნა, ესე იგი ისეთ ხანაში, როდესაც ეროვნულმა საკითხმა ყველგან და კერძოდ ჩვენში დევნილთა სოროდან თამამად თავი გამოჰყო და დაბეჯითებით თავისი წილი მოითხოვა. პიტირიმის ჩვენში ყოფნამ ტყვია-ზარბაზნის ქექაქუხილის შთაბეჭდილებათა ქვეშ გაიარა (28 ივლისი 1914 წლ.—7 ნოემბერი 1915 წლისა). ამითი ბევრი და ძლიერ ბევრი რამე აიხსნება პიტირიმის მოქმედებაში, პირადი ტაქტიდან დაწყებული პოლიტიკურ კურსამდინ. ეკლესია და მისი მსახურნი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდნენ,—ასეთი იყო მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს პიტირიმის ოფიციალი დევიზი. მაგრამ დრო ისეთი გახლდათ, რომ პოლიტიკის გარეშე მოქმედება სრულ უმოქმედობას უდრიდა, ხოლო სიდუნე, განყენებითი ოცნება და უმოქმედობა პიტირიმის მოძრავ, ცოცხალ ბუნებას არ შეეფერებოდა. ცხოვრებამ თავისი გაიტანა...

ვის პირად რა ასიამოვნა ან რა აწყენინა მის მაღალ უსამღვდელოესობამ, ეს ანგარიშში მისაღები არ არის. თუ ვისმე რამე შესაძლებელი არა, თუ ვერ გაუკეთა და მით გული ატკინა, მხოლოდ ჩვენი და ჩვენიანების მეოხებით, რასაც უეჭველია მახლობელ მომავალში ფარდა აეხდება პიროვნებათა და ფაქტების დასახელებით. ერთი რამე კი ყველასათვის ცხადზე უცხადესია: ეს გახლავთ კეთილი გული, რომლითაც პიტირიმი უხვად არის დაჯილდოვებული. თუ კი შეიძლება გაკეთდეს, რატომ არ უნდა გავაკეთოვო,—ასე მსჯელობდა ეს იშვიათი ადამიანი ყოველივე კერძო თუ საზოგადო საკითხებში.

რაც პიტირიმს ექსარხოსობაში შეეძლო გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა, ეს იშვიათის გულახლიდობით და საქმის ღრმა ცოდნით გვაცნო პატივცემულმა ჟურნალისტმა ბ. დ. კასრაძემ *). მხოლოდ დამნაშავენი და მიზეზები არ არიან ნაჩვენები—ალბად საცენზურო პირობებისა გამო. რაც პიტირიმს უნდოდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერ გააკეთა, გვაჩვენა იმ მიწერ-მოწერამ, რომელიც გამოქვეყნდა საბლერის ობერ-პროკურორის თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ. **)

ორად-ორი საქმე, რაც პიტირიმმა გააკეთა ერთი წლის და ოთხი თვის განმავლობაში და ისიც პეტროგადში წაბრძანების შემდეგ, გახლავთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის და ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა.

მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ ამ საქეებზედ, რასაც შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

ახელი.

*) იხ. „საქართველო" 1916 წლ. № 6.

**) „სახ. გაზ." 1913 წლ. № 1028.

***) „Вѣстникъ Грузинскаго Экзархата" 1914 წლ. № 2 და შემდეგნი.

*) „საქართველო" 1915 წლ. №№ 136—138, „საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი" დ. კასრაძისა.

**) „Закавказ. Рѣчь" 1915 წლ. № 237, Изъ переписки Экзарха Грузіи съ Св. Синодомъ".

## ჩემი პასუხი

(წ. რ. მ.).

გაზეთ „საქართველოს" წარსულ წლის № 175-ში დაისტამბა ერთი წერილი ჩემს შესახებ, რომელსაც სათაურად „კახეთის კავშირი" აწერია.

მთელი ეს წერილი ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. ერთი ნაწილია, საცა მე ბრალსა მდებენ; მეორე—საცა მარიგებენ.

ბრალსა მდებენ:

1. რომ მე უსათუოდ გამგეობის თავმჯდომარეობა მინდოდა;

2. რომ მე წინასწარ თათბირზე წამოვაყენე უცნაური საკითხი—„მიეღოთ თუ არა კავშირში ცხრა დამფუძნებელ ამხანაგობას დანარჩენი 30 საკრედიტო ამხანაგობა";

და 3. რომ კრედიტის ინსპექციას ჩემის დასტურით აურჩევია გზა მთავრობის წინაშე არჩევნების განსაჩივრებისა.

პირველ ბრალდების შესახებ აი რას ვიტყვი: თელავის და თიანეთის მაზრათა რწმუნებულებმა კერძო მოლაპარაკებაზე გადასწყვიტეს უსათუოდ მე გავეყვანე გამგეობის თავმჯდომარედ. ამისთანა გადაწყვეტილება რწმუნებულებმა მე გადმომცეს. მე მათი წინადადება მივიღე, დავთანხმდი, რადგან ჩემ თანხმობაში არავითარ ზნეობრივს საწინააღმდეგოს არას ვხედავდი. თუ არ შემძლებოდა ამ ტვირთის ზიდვა, არც ვიკისრებდი. მაგრამ მე ჩემს თავს მომზადებულადა ვთვლიდი ამ თანამდებობისათვის და საქმისათვისაც არა საზარალოდ და იმიტომ დავთანხმდი. მხოლოდ რითი დავიმსახურე ეგოდენი ყურადღება თელავისა და თიანეთის მაზრათა რწმუნებულებისაგან არ ვიცი. არ ვიცი აგრეთვე ჩემ შესახებ რა ითქვა იმ კერძო მოლაპარაკებაზე, რადგან, როდესაც ჩემ კანდიდატურას შეეხნენ, მე მოთათბირენი დავტოვე, რათა ჩემი იქ ყოფნით არ შემეზღუდა მათი თავისუფალი მსჯელობა ჩემ შესახებ. მაშინ, რასაკვირველია, არ ვიცოდი რა ხდებოდა ქიზიყში.

მოვიდნენ ქიზიყიდან ჩვენი მეზობლები და მოიტანეს თან წინდაწინვე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომ მე არამც და არამც არ გავეყვანე გამგეობის თავმჯდომარედ და თუ გამგეობაში ამირჩევდნენ, მხოლოდ უბრალო წევრად. ქიზიყელთა თათბირიც ჩემს დაუსწრებლად მოხდა და არ ვიცი რა ილაპარაკეს ჩემს წინააღმდეგ, თუ ჩემს სასარგებლოდ. პირველი შეხვედრისთანავე დავინახე, რომ ქიზიყელი რწმუნებულები წინდაწინვე ალესილები იყვნენ ჩემ საწინააღმდეგოდ. რად და რისთვის იყვნენ ისინი სამტროდ დარაზმულნი ეხლაც არ ვიცი. მაგრამ ის კი ცხადდება, რომ რამდენიმე პირი ჩემს წინააღმდეგ დიდსა და ცხარე აგიტაციას ეწეოდა ქიზიყში:აბა მე ამირჩიეთ და ნახავთ რას არ გავაკეთებ და დაგიმტკიცებთ, რომ ლუკაშვილი არაფერიაო,—ეუბნებოდა ხალხს თურმე გურჯაანში ერთი მათგანი. ასე წინდაწინვე ამღვრევდნენ წყალს კენჭაობის რაინდები, რათა ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირათ და აკი მიაღწიეს კიდეც თავის საწადელსა. რომ ჩემ წინააღმდეგ ქიზიყი აემხედრებინათ ჩემმა მტრებმა ბეჭდვით სიტყვასაც კი მიმართეს. წარსული წლის გაზეთ „საქართველოს" ერთ ერთ ნომერში (აღარ მახსოვს რომელში) გამოსჭიმეს კიდეც ჩემ პიროვნების წინააღმდეგი წერილი, სადაც აღნიშნავდნენ, რომ მე ვითომდა მიდგომით ვიქცეოდი; იმ დროს, როდესაც თელავს თეთრი პურით შევაქცევდი, ქიზიყს შავ პურსაც არ ვუგზავნიდი. სწორედ ამ ვაჟბატონთა და კომპანიის მეცადინეობითა ეხსნი ქიზიყელ რწმუნებულთა ჩემ წინააღმდეგ გამოლაშქრებას და კავშირის დამფუძნებელ კრებაზე მომხდარ ინციდენტს.

მეორე ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება შემდეგში გამოიხატება.

„ცხრა ამხანაგობის ოცმა წარმომადგენელმა **დ. ლუკაშვილის მოთხოვნით** უყარა კენჭი 30 ამხანაგობას და ცხრა შავი კენჭი უთავაზა..

რითი იყო გამოწვეული ასეთი საქციელი ბ. ლუკაშვილისა? შიშით, ვაი თუ მე არ ამირჩიონო".

ამ ბრალდების შესახებ შემდეგს მოგახსენებთ: ის, რაც მე განვაცხადე, უცნაურად გეჩვენებათ, მაგრამ მაგარი ისაა, რომ უცნაურია სწორედ ეს თქვენი ბრალდება და გაუგებარი. არ ვიცი დავიწყო თავის მართლება, თუ ისედაც ყველასათვის ნათელი ბრალდების შეუსაბამობა და ამ ბრალდებაზე აგებული მთელი გესლნარევი დასკვნა.

როდესაც წინასწარ კერძო თათბირზე შეეხნენ არა—დამფუძნებელ ამხანაგობათა დამფუძნებელ კრებაზე მონაწილეობას, მე განვაცხადე: უცვლელად მომყავს ჩემი სიტყვები გაზეთ „საქართველოს" № 171-დგან.

„ლუკაშვილი. როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკიც, რომ ვისმეს 9 დამფუძნებელი ამხანაგობა კავშირის გარეშე დასტოვებს. მხოლოდ როგორც წესია ეს საზოგადოთ, საჭიროა ფორმალურად ჯერ ცხრა ამხანაგობამ მიიღოს დანარჩენი რწმუნებულნი და შემდეგ საერთო საქმეს შეუდგნენ".

აი რაცა ვსთქვი მაშინ და ამ ჩემ ნათქვამში არაფერი უცნაური არ იყო. რომ სრულ უფლებიანი ყოფილიყვნენ დამფუძნებელთ გარდა სხვა მონაწილენიც, უნდა ცხრა დამფუძნებელ ამხანაგობათა რწმუნებულებს ფარულის კენჭის ყრით მიეღოთ დანარჩენ ამხანაგობათა რწმუნებულები. უამისოდ უკანასკნელთ ექნებოდათ სათათბირო ხმა და არა გარდამწყვეტი, რაიც სასურველი არ იყო. მე, როგორც კავშირის რწმუნებულმა, რომლის მოვალეობა სხვათა შორის იყო ხელმძღვანელობა გამეწია კრებისთვის, ასეთი რჩევა მივეცი. ამას გვასწავლიდა წარსული სხვა კავშირებისა, ამასვე მოითხოვდა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესდება კახეთის კავშირისა და იმპერიის კანონი. ვიცოდი ეს და ვუთხარი კერძოო მოთათბირეთ და ამით, ვგონებ, არაფერი დამიშავებია. მაშ აბა ვის უნდა მიეღო კავშირში დანარჩენი ამხანაგობანი. მე? მე ამის უფლება ხომ არა მქონდა. ერთად ერთი ამ უფლებით აღჭურვილნი იყვნენ დამფუძნებელ ამხანაგობათა რწმუნებულნი და სწორედ მეც ასეთი განმარტება მივეცი. ეს არ იყო ლუკაშვილის მხრივ, როგორც თქვენ ამბობთ, **უსამართლო და უაზრო,** არამედ სამართლიანი და აზრიანიც.

აი კიდევ რა არის საგულისხმო ზემორე აღნიშნულ წერილში:

„30 ამხანაგობის წარმომადგენელნი ამბობდნენ: მაშ ბ. ლუკაშვილს ჰსურდა ჩვენი აქედგან გარეკვა?"

წერილის ავტორიც 30 ამხანაგობათა წარმომადგენელებთან ერთად კითხულობს: „რითი იყო გამოწვეული ასეთი საქციელი ბ. ლუკაშვილისა?"

მე გიპასუხებთ: იმით, რომ ლუკაშვილი „ცდილობდა" ყველაფერი წესიერად მომხდარიყო, რათა ამით კრებისათვის თავიდგან აეშორებინა უვიცობითა და მოუმზადებლობით გამოწვეული შეცდომები, და არა ისე, როგორც თქვენ გგონიათ.

ხომ იცით მრუდე სარკის თვისება. ყველაფერს რაც მის წინ დადგება ამახინჯებს, მაგრამ წინ მდგომმა რა ქნას, იმისი რა ბრალია.

მესამე ბრალდების შესახებ არ ვიცი როგორ მოვიქცე. მინდა კითხვითი და გაკვირვებითი ნიშნები დავსვა ბოლომდე. რა არის ეს ვერ გამიგია. ჩემი დასტური რათ უნდა წვრილი ნდობის ინსპექციას ამა თუ იმ თავის მოქმედებაში. მათი უმფროსი ვარ, მბრძანებელი, თუ რა?

რედაქცია გამახსენებს, რომ მე ყოველთვის მეხმარებოდა და გულისყურით მეკიდებოდა. მე არაფრით არ დამიმსახურებია ეს. და ვალდებულადა ვთვლი ჩემ თავს ვიდრე წერილის მეორე ნახევარს შევეხებოდე, დიდი მადლობა ვუძღვნა რედაქციას.

ახლა შევეხები წერილის მეორე ნახევარს, საცა რჩევა—დარიგებას მაძლევენ.

„ბ. ლუკაშვილი კავშირის გამგეობაში არ ამოირჩიეს და გაისწორებს თუ არა ამ **შეცდომას** ისევ ბ. ლუკაშვილზედ არის დამოკიდებული და ბ. ფორაქაშვილის წინადადება, რომ იგი ლუკაშვილს **დაუთმობს** ადგილს, მოხდენილ საშუალებას იძლევა იმ სამწუხარო ატმოსფერის სალიკვიდაციოთ, რომელიც შეიქმნა კავშირის კრებაზე".

არ ვიცი აქ რომელ შეცდომაზეა ლაპარაკი. თუ იმაზე, რომ მე გამგეობაში არ ამომირჩიეს, აქ მე რა დამნაშავე ვარ. ჰკითხეთ იმათ, ვინც არ მოისურვეს ჩემთვის თეთრების მოცემა.

ამასთანავე გეტყვით, რომ მე თქვენ რჩევას ვერ მივიღებ. ვერა, იმიტომ რომ მოწყალებას და ვისგანმე საჩუქრების მიღებას (ფორაქიშვილისაგან იქნება ეს, თუ ვინმე სხვისაგან) ჩვეული არ გახლავართ. ამასთან დაუპატიჟებელ სტუმრად ყოფნა არსად მიყვარს და მით უმეტეს კავშირის გამგეობაში. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ბ-ნ ფირაქიშვილს უკვე გუნება შესცვლია და კავშირის გამგეობის წევრობას თავს აღარ ანებებს.

დასასრულ უმორჩილესად გთხოვთ რამდენიმე ჩემი სიტყვაც მოისმინოთ.

კავშირი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც უდავიდარაბოდ ღელოს გაიტანს.

რაც შეეხება გამგეობის დღევანდელ შემადგენლობას არც ეგ არის სასოწარსაკვეთი. თუ იმუშავებენ და ფხას გამოიჩენენ, ხომ კარგი და უკეთესი, თუ არა და თავის თავს ანდერძს თითონვე აუგებენ. შემდეგი კრებები იმედია მათ საქმის მხრივ შეაფასებენ და არა ნაცნობობა-მეგობრობით ან ქიზიყელ-თელაველობით ან და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების თქმით, ან ლამაზი ლაპარაკით.

საქმეს მოსთხოვენ დიდ საქმის მეთაურთ ამ საქმის გულშემატკივარნი.

მე ასე მგონია.

ამით ვათავებ იმ წერილის პასუხს, რომელიც ჩემ წინააღმდეგ არის დასტამბული.

რაც შეეხება წერილს ბ-ნ თელაველისას, მოთავსებულს „საქართველოს" № 8, სათაურით: „წერილი კახეთიდგან", რომელიც ჩირქსა მცხებს არა მარტო მე, არამედ მთელ თელავის ამხანაგობის მოქმედებას, სახელდობრ სასურსათო საქმეს, რომელსაც მე და ჩემი თანამშრომელი სალვთის მსახურო საქმესავით ვასრულებთ, რომლის წესიერად მოწყობისათვის ფიქრში ამ სტრიქონების დამწერს ბევრი უძილო ღამეები გაუტარებია და ამხანაგობის საბჭოსა და გამგეობას მრავალი დრო, ენერგია და შრომა მოუნდომებია. ამით ვერ დავკმაყოფილდებით.

წინადადებას ვაძლევ ბ. თელაველს ათი დღის განმავლობაში დღიდგან ამ წერილის დასტამბვისა გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე, უარ ჰყოს ყოველივე თავისი ცილის წამება. თუ ამას არ იკისრებს, მაშინ მოვთხოვ სამედიატორო სასამართლოში გამომყვეს. ამასთან თავის მხრივ ვინც უნდა დაასახელოს. ჩემი მხრივ კი, სწორედ ის „საწყალი გლეხები"—თითონვე დამისახელოს"— „რომელნიც", როგორც ის ბრძანებს,—მოდიოდნენ ტომრებით ხელში, რამდენიმე დღე გვიცდიდნენ და ბოლოს ან ვუწყალობებდით რასმე, ან და ცარიელს ვისტუმრებდით იმ დროს, როცა თურმე ვაჟრებს ურმობით გატანდით.

ბ. თელაველო, უკეთუ დანიშნულ ვადამდე ან უარ არ ჰყავით თქვენივე ჭორი, ან სამედიატორო სასამართლოში არ გამომყევით, რომლის განაჩენიც უსათუოდ გაზეთებში უნდა გამოცხადდეს, მაშინ უფლება მექნება თქვენ ის სახელი გიწოდოთ, რაც გეკადრებათ. *)

**დ. ლუკაშვილი!**

# ღია წერილი

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ამ შენიშვნას ადგილი დაუთმოთ.

ქართველ მაჰმადიანთა შესახებ მე დავბეჭდე დღემდე რამდენიმე ნაირი წიგნი. დარჩა დასაბეჭდი სამი წიგნი. მათი სივრცე 300 გვერდზე მეტი იქნება. რადგანაც ასეთი წიგნების გამოსაცემად ძალა არა მაქვს, ამიტომ მინდა ხელისმოწერა გავმართო და გამოვსცე ეს წიგნები.

პირველ წიგნში მოტავსებული იქნება შემდეგი წერილები: 1, თამარ მეფე, აჭარელის ამბებით. 2, ქართველ მაჰმადიანთა ზოგი ლოცვები. 3, ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები და ძველებური ამბები 4, ქართველ მაჰმადიანთ სწავლა-განათლების საქმე აჭარლების სკოლებში. 5, ქართველი მაჰმადიანი ქალი და მრავალ-ცოლიანობა. 6, ქართველ მაჰმადიანთ მოწინავე გვარის კაცნი და ფაშები. 7, ფუხარა, ანუ ქართველ მაჰმადიანთ ღარიბ-ღატაკნი. 8, ქართველ მაჰმადიანთ ცრუ მორწმუნეობა. 9, ალი-ფაშა თავდგირიძე, სელიმ-ფაშა ყიფიანი, შერიფ-ფაშა ჯაყელი, ხასით-ფაშა ათაბაგი და 10, ქართველ მაჰმადიანებმა სად, რომელ კუთხის სოფლებში დაკარგეს ქართული ენა, სად შეინახეს მათ ეს ენა დღემდე?

ხელის მოწერა თითო წიგნზე ეღირება ერთი მანეთი, მისამართი: ქართვ. შორის წერა-კითხვის გამგეობის მაღაზია და წიგნის მაღაზია „განათლება“ (ვერაზე).

გამომცემელი **ზ. ჭიჭინაძე.**

# პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი**

28 იანვარს დანიშნული გურიის მეურნეთა წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება სხვა დროისთვის გადაიდვა.

— ორშაბათს, 25 იანვარს, სასულიერო სკოლის მასწავლებელს ბოროტგამზრახველნი თავს დაესხნენ, ჩაუმტვრიეს ფანჯრები, წაართვეს 50 მანეთი და მიიმალნენ.

— ამ დღეებში კოოპერატივმა მიიღო 350 ფუთი შაქარი, რომელსაც ჰყიდის მხოლოდ წევრებზე 25 კ. გირვანქას. შაქარი გაუნაწილა სოფლის კოოპერატივებსაც. ამავე კოოპერატივმა ამას წინათ მიიღო ორი ვაგონი ფქვილი.

**თელავი**

არჩილ იაკაშვილმა წ. კ. საზ. თელავის განყოფილებას 100 მან. შესწირა და აღუთქვა კვლავ დახმარება.

**ს. შილდა** (თელ. მაზ).

რევოლვერით შეიარაღებული გლეხი გიო სიხარულიშვილი მიუვარდა სიხარულიშვილის ქალს და გაუპატიურება მოინდომა. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია და სიხარულიშვილმა მოისურვა ქალის მოკვლა. ქალს მოეშველნენ. შეტაკების დროს სიხარულიშვილმა დასჭრა ქალი და დედა.

**სიღნაღი**

შირაქის ველზე ცეცხლი წაუკიდეს რის გამოც გ. ბიგლიძეს დაეწვა ორი ბინა 600 მან. ღირებული.

**ქუთაისი**

ქუთაისში 15 თებერვლიდან ბ-ნ სევ. ბახტაძის რედაქტორობით გამოვა ყოველკვირეული გაზეთი „ახალი კვალი“.

— ჯარში გაწვეულ ოჯახთ, ქუთაისის საგუბერნიო დამხმარე კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომთა ორგანიზაციას გადაეცეს 400 მანეთი აბრეშუმის თესლის შესაძენად მეომართა ოჯახებში უფასოდ დასარიგებლად.

— სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ქუთაისის განყოფილება ხსნის შემდეგ საავადმყოფოებს: 1) ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობაში, 2) ქალაქის ქალთა სასწავლებელში, ლენერალის ქუჩა. 3) ქალაქის საავადმყოფოს ქვედა სართული საურთიერთო ნდობის ბანკის შენობაში. სულ ქუთაისში მოეწყობა 800 საწოლი.

("თ. ა.")

*) რედაქცია დარწმუნებულია, რომ ბ-ნი თელაველი დაუკმაყოფილებელს არ დასტოვებს ბ-ნ ლუკაშვილს.

**რედ.**

**ს. წითელმთა** (გურია)

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პ. ერქომაიშვილმა და ე. თოდრაძემ ჩვენ სოფელს დახმარება აღმოუჩინეს: პირველმა 25 მან., ხოლო უკანასკნელმა გამოუწერა კოოპერატიულ დუკანს გაზეთები.

**სად. ბალაჯარა**

26 იანვარს, ნაშუაღამევის 3 საათზე ეიბათიდან მომავალი ცარიელი საქონლის მატარებელი № 120 და ბალაჯარიდან ეიბათში მიმავალი მატარებელი № 105 ერთმანეთს დაეჯახა. ობერ-კონდუქტორი, რომელიც ქვეშ მოეტანა, გარდაიცვალა, ხოლო მემანქნე მძიმედ დაშავდა.

**ს. ჭალა**

აცხოვრებლებმა გადასწყვიტეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი კავშირი“ ნებართვისთვის მიართვეს თხოვნა გუბერნატორს. უკვე შეკრიბეს 200 მანეთამდე.

**ნოჯიხევის საზოგადოება** (ზუგ. მაზ.)

ნოჯიხევის საზოგადოებამ განიზრახა გახსნას პირველ დაწყებითი სკოლა.

— ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა [ამ სოფლის კოოპერატიული სავაჭროს წესდება.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

28 იანვარს განჯაში გარდაიცვალა ადგილობრივი ქველმოქმედი და მთავარი გამგე განჯის მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებისა ჰაჯი მირყასიმ აღა გამზაევი.

— „ნიჯითი“-ს საზოგადოების მორიგ კრებაზე, 30 იანვარს, გადასწყვიტეს გახსნან სხვა და სხვა ტიპის სკოლები. პროგრამის შემუშავებას უკვე შეუდგნენ.

# რუსეთის ეკონომური ცხოვრება

**ფქვილის კრიზისი.** რუსეთის საბირჟო ვაჭრობის და სასოფლო მეურნეთა წარმომადგენელთ ბჭობა ჰქონდათ იმაზედ, თუ როგორ აუცილებელი თურმე ყოფილა ფქვილის კრიზისის ასცდენა და მცხოვრებლების ფქვილით უზრუნველჰყოფა. გამოირკვა, რომ ომის დაწყების წინ რუსეთში მუშაობდა 2400 დიდი წისქვილი, სადაც 500 მილიონი ფუთი ხორბალი იფქვებოდა. დღეს კი რკინის გზებზე უწესობის გამო, შეშის, ტომარების და სხვათა ამ გვარ მასალის სიმცირის გამო, მუშაობს რუსეთში მარტო 800 დიდი წისქვილი. მასთან უკანასკნელნი, როგორც მრავალი სხვა წვრილი წისქვილები მუშაობენ უმეტეს ნაწილად ჯარების მოთხოვნილებათათვის. ასე რომ რუსეთის დანარჩენ მცხოვრებლებს, თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში ფქვილის და პურის კრიზისი მოელის. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ აუცილებლივ მოწესრიგდეს რკინის გზებზედ მიმოსვლა და სავაჭრო მდინარეები გემების რეკვიზიციებისაგან განთავისუფლდეს. საზოგადოთ რუსეთის მოღვაწეებს დიდი მუშაობა მართებთ, რათა ქვეყანა ამ დღეების ათასგვარ გაჭირვებისაგან იხსნან. უმთავრესი კი მცხოვრებლებისათვის ფქვილის მიწოდების და განაწილების საკითხია.

**ხორცის სიმცირე.** გაზეთი „სვეტი“ ხორცის სიმცირის გამო ეკამათება იმათ, ვინც წინადადებას იძლევიან „უხორცო“ დღეების შემოღებას და ეუბნება: მცხოვრებელს ყოველთვის შეუძლიან ორი დღის ხორცი დაიმზადოს და თავიდან აიცილოს „უხორცო“ დღეები. ეს პროექტი არ შემოგვაღებინებს, მეტად საჭიროს ჩვენთვის, ხორცის ეკონომიას. საჭიროა სხვა უფრო ძირითადი ზომები. მაგალითად „ბარათების სისტემას“ (карточная система). ეს ზომა ბევრად, თუ ცოტად მაინც შეამცირებინებს რუსეთში ხორცეულის მოხმარებას.

# ინგლისის ბლოკადა და გერმანეთი

როდესაც ინგლისმა გერმანეთს ბლოკადა გამოუცხადა და საზღვაო გზები შეუკრა, ყველა დარწმუნებული იყო, გერმანეთის ხალხი შიმშილით ამოსწყდებოდა. მაგრამ გერმანეთი რაღაცა მახინაციებით მაინც თავსა ჰშველოდა და მიუხედავად სასტიკ ბლოკადისა სხვა და სხვა გზებით ეზიდებოდა საჭირო საქონელს და სურსათს. ეხლა ამ საიდუმლოებას ფარდა აეხადა. პატარა ნეიტრალ სახელმწიფოების დახმარებით გერმანეთი თურმე, აუარებელ მასალას იგროვებდა და წარმოიდგინეთ უმეტესი წილი შემოზიდულ საქონლისა ამერიკისა ყოფილა. „ვესტნიკ ევროპაში“ ამერიკელი კორრესპონდენტი, ცნობილი რუსი ეკონომისტი ა. ი. ზაკი ამერიკის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ასეთ აღმოჩენას წააწყდა: ევროპის ზოგიერთ პატარა სახელმწიფოების მსყიდველობის ძალა არა-ბუნებრივად მოიმატა ომის დროს. მაგალითად ჰოლანდიაში ამერიკიდან შემოზიდულ საქონლის ღირებულებას 31.000.000 დოლარი. უმატნია ნორვეგიაში 32.000000. შვეციაში 66,000,000 დოლარი, დანიაში 67,000,000 დოლ.

ამრიგად ამ ოთხ პატარა სახელმწიფოში ამერიკიდან საქონელი 195 მილიონ დოლარზე მეტი შემოიზიდა, ვიდრე წინა წლებში. ამ მომატებას რასაკვირველია ეს პატარა ქვეყნები ვერ გაუძლებდნენ და აშკარაა, რომ ზედმეტი საქონელი გერმანიაში მიდის. ამრიგად ნეიტრალი სახელმწიფოები და გერმანეთი ძმურ განწყობილებაში ყოფილან და გერმანიის აუარებელი ოქრო-ვერცხლის ფული ყველგან გზას იკაფავს. ამიტომ ინგლისის ბლოკადამ, როგორც თვითონ ინგლისის საზოგადოება კიდეც დარწმუნდა, სულ ფუჭად ჩაიარა. დღეს, როდესაც გერმანეთმა გზა გაიხსნა წინა აზიისაკენ, საიდანაც მას დიდძალ სურსათ-სანოვაგეს შეუჩერებლივ აწვდიან, შესაძლოა ხსენებული ბლოკადა, რომელიც დიდ ხარჯებს იწვევს ინგლისის სახელმწიფოსაგან, სრულიად მოიხსნას.

# რუსეთი

**უშაქრობა**

ვარშავაში,, თურმე, შაქარი აღარ იშოვება; რადგან ქარხნები შაქრის ჭარხალს ვერ შოულობენ, ამიტომ უქმად არიან. გადაწყვეტილია, თუ შვეციიდან ვარშავაში შაქარი შეიტანეს, თითო სულს კვირაში მხოლოდ ერთი გირვანქა მიჰყიდონ.

# თეატრი

**ქუთაისი.**

8 თებერვლიდან 13-დე ქუთაისის თეატრში დაიწყება გასტროლები კრასოვის დასისა.

— ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა თბილისში ელ. ჩერქეზიშვილის სადღესასწაულო წარმოდგენის დღეს მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს, ხოლო ქუთაისში 7 თებერვალს გამგეობის სახელით ა. ფაღავა და გ. ლაღიძე მიულოცავენ და გამგეობის სახელით მიართმევენ საჩუქარს ფულად.

**თელავი.**

19 თებერვალს საკრებულო დარბაზში გაიმართება სამასკარადო საღამო სალიტერატურო განყოფილება წ. კ. საზ. თელავის განყ. სკოლის სასარგებლოდ.

— 23 იანვარს აქაურ ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ გამართულ საღამოს ხალხი ბევრი დაესწრო წარმოადგინეს „ქ-ნი ფიფი“ ქართულად, „ევგენი ონეგინის“ ერთი მოქმედება რუსულად. იყო საკონცერტო-სამუსიკო განყოფილება, სიმებიანი ორკესტრი და ცეკვა. საღამომ მხიარულად ჩაიარა.

**სიღნაღი.**

27 იანვარს სიღნაღის ქართველ საზოგადოების კრება მოხდა სცენის მოყვარულთა წრის მონაწილეობით, ელ. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის თავის შესრულების გამო. გადასწყდა, თებერვლის შუა რიცხვებში სიღნაღში მოწვეულ იქნას იუბილარი და მისი მონაწილეობით გაიმართოს სადღესასწაულო წარმოდგენა.

# მოწოდება

საზოგადოებას მოეხსენება, რომ უკვე ათ თვეზე მეტია, რაც ნაოღალევის მომხმარებელი საზოგადოება „ნდობა“ მოქმედებას შეუდგა და მომხმარებელთ აწვდის პირველ საჭიროების საგნებს.

საზოგადოებაში ირიცხება 169 წევრი. საწევრო გადასახადია ათი შაური, პაი ხუთი მანეთი. ჯერჯერობით 114 პაი არის გაცემული, რაც საწევრო გადასახადთან ერთად შეადგენს 654 მ. 50 კ. ასეთი პატარა თანხით წარმოების გაგრძელება და გრეშე დაბრკოლებებთან გამკლავება ძნელია და საზოგადოებას საფრთხე მოელის. ნაოღალეველ მომხმარებელნი ვფიქრობთ, უკვე გაეცნენ საზოგადოების მიერ მოტანილ სარგებლობას და დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მის წარმატებაში.

ამისთვის გამგეობა მოუწოდებს ნაოღალეველ მომხმარებელთ და იმ პირთაც, ვინც ნებით თუ უნებლიეთ წასული არიან სხვა ადგილებში და თავიანთი შრომით შორიდან ასაზრდოებენ თავიანთ ოჯახებს: ხელი შეუწყონ ხსენებულ საზოგადოების გაძლიერებას, ჩაეწერონ წევრებად, შეიძინონ საზოგადოების პაიები, და უმთავრესად კი ხელი შეუწყონ ვაჭრობით. ამით ხიფათისაგან იხსნიან, როგორც საზოგადოებას, ისე თავისს ნაშრომსა და ნაღვაწს ვაჭრების ბრჭყალებისაგან.

ფული გამოიგზავნება შემდეგის მისამართით: Наогалеви. Петру Семеновичу Чалаганидзе. წერილები: Наогалеви. О-во Потребителей „Ндоба“.

გამგეობის მონდობილობით

**პიპიკო ელიავა.**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 „ „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 „ „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ „ |

**თელავიდან**

| | |
|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ „ |
| მელაანიდან . . . | 12 „ 02 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ „ |
| იორიდან . . . . | 2 „ 53 „ „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ „ |

# წერილი რედ. მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მივმართოთ კავკასიაში მომქმედ სახელმწიფო დაწესებულებათ და საზოგადო ორგანიზაციებს გამოგვიგზავნონ უსასყიდლოდ თავისი გამოცემანი, რომელნიც ეხებიან სტატისტიკურ-ეკონომიურ მხარეს კავკასიის მეურნეობისას და აგრეთვე მეურნეობის სხვა და სხვა დარგებს. ამისთანა ნაწერები ძლიერ საჭიროა კაბინეთის მიმდინარე შრომათათვის, როგორც მასწავლებლებისთვის, აგრეთვე აგრონომიულ განყოფილების სტუდენტებისათვის, რომელთა შორის იმყოფებიან კავკასიის მკვიდრნი მცხოვრებნი და აქვთ სურვილი ამ მხრით შეისწავლონ კავკასია.

მისამართი: Новочеркасскъ. Донской Политехническій Институтъ. Кабинетъ с.-х. экономіи и статистики.

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა ქართული გაზეთების რედაქტორებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

კაბინეთის გამგე დოცენტი

**ნ. კაჟანოვი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ დიდათ პატივცემულ და კეთილ თავადს, სოფელ ოძისში მცხოვრებს სოლომონ მიხეილის ძეს ჩოლოყაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და სოფელ მჭადისჯვრის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს კვლავინდებურათ გამოუწერა მთელი წლით გაზეთი „საქართველო“ კრებულითურთ.

დიდის პატივისცემით, მჭადისჯვრის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე მღვდ.

**მიხ. მშველიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოხნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს**

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით ან როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭვდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უღლაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.